ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს
მის.: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6.

სს ენერგო-პრო ჯორჯია
O.№ 2329214
"28" 07 2021
JSC ENERGO-PRO GEORGIA

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ გათვალისწინებული იქნა თქვენი მიმდინარე წლის N5499/01 წერილით წარმოდგენილი შენიშვნები, რომელიც ეხება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ ქ. ფოთის ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდის მიზნით, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის - „ჭალადიდის" გაორჯაჭვიანების პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყო საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა, რომელზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 7 ოქტომბრის N 2-900 ბრძანებით დამტკიცდა N79 სკოპინგის დასკვნა (01.10.2020).

წინამდებარე - 110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის" გაორჯაჭვიანების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადებულია N79 (01.10.2020) სკოპინგის დასკვნისა და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, გარემოსდაცვითი კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად.

დანართები:

- 110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის" გაორჯაჭვიანების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;
- 110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის" გაორჯაჭვიანების პროექტის არატექნიკური რეზიუმე;
- 110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის" გაორჯაჭვიანების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დანართები (დანართი I, დანართი II, დანართი III);
- ელექტრული ველის დაძაბულობის საექსპერტო შეფასება;
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის ქალაქთმშენებლობითი პირობები/მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სარეკონსტრუქციო და გასაორჯაჭვიანებელი ტრასის Shp ფაილები;
- სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" პასუხები სამინისტროს 2021 წლის 2 ივნისის N 5499/01 წერილში მოცემულ შენიშვნებზე.

პატივისცემით,

გრიგოლ მამისეიშვილი
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

№ 13561
"30" 07 2021

შემსრულებელი: მარიამ მჭედლიშვილი /ტელ: 577 35 10 55